



საქართველოს
ნაციონალური
ბანკი

წლიური ანგარიში
ANNUAL REPORT

2007

თბილისი 2008 TBILISI

შინაარსი CONTENTS

წინასიტყვაობა FOREWORD	4
ბამოგონებები INVENTIONS	11
სასარგებლო მოდელები UTILITY MODELS	18
სამრეწველო ნიმუშები INDUSTRIAL DESIGNS	23
სასაქონლო ნიშნები TRADEMARKS	27
საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებები APPELLATIONS OF ORIGIN OF GOODS	39
საავტორო უფლებები COPYRIGHT	48
მცენარეთა და ცხოველთა ახალი ჯიშების დაცვა PROTECTION OF NEW VARIETIES OF PLANTS AND ANIMALS	52
უფლებების გადასვლა. ლიცენზიები ASSIGNMENT. LICENSES	56
დავები DISPUTES	58
კანონმდებლობა LAWMAKING	62
საერთაშორისო ურთიერთობები INTERNATIONAL RELATIONS	65
მრავალმხრივი ხელშეკრულებები MULTILATERAL AGREEMENTS	69
ორმხრივი ხელშეკრულებები BILATERAL AGREEMENTS	71
საინფორმაციო საქმიანობა INFORMATION ACTIVITY	74
ინფორმაციული ტექნოლოგიები INFORMATION TECHNOLOGIES	80
ბამოწვენები EXHIBITIONS	85
სტატისტიკური მონაცემები STATISTICAL DATA	89



მსოფლიოში ის ქვეყნები და ერები არიან მონინავენი და წარმატებულნი, რომელთაც ახალი იდეებისა და ცოდნის გენერირება, მატალეფექტური ტექნოლოგიების შექმნა და მათი პრაქტიკაში რეალიზება ხელენიფებათ.

ინტელექტუალური პოტენციალი გადამწყვეტ როლს თამაშობს სახელმწიფოთა ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარების საქმეში, იგი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია პოლიტიკური გავლენის თვალსაზრისითაც. ასევე, სამეცნიერო-ტექნოლოგიურ მიღწევებთანა დაკავშირებული უცხოებობის იმედები სიღარიბის დაძლევის, ეკოლოგიური პრობლემების გადაწყვეტისა და მძიმე დაავადებების დამარცხების გზაზე.

ბოლო ორი ათწლეულისათვის დამახასიათებელმა გასაოცრად სწრაფმა სამეცნიერო-ტექნოლოგიურმა პროგრესმა და ცოდნაზე დამყარებული ეკონომიკის ჩამოყალიბებამ განსაკუთრებული აქტუალობა შესძინა ინტელექტუალური საკუთრების დაცვას მთელ მსოფლიოში. აღნიშნულმა გამოხატულება ჰქოვა ინტელექტუალური საკუთრების სისტემის სამართლებრივი მექანიზმებისა და ინსტიტუციების თვისობრივად ახალ დონეზე ფორმირებასა და განვითარებაში როგორც გლობალური, ისე რეგიონალური და ეროვნული მასშტაბით.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველოსთვის ერთ-ერთ პრიორიტეტად ინტელექტუალური საკუთრების დაცვის ეროვნული სისტემის ჩამოყალიბება განისაზღვრა, რაც აისახა ქვეყნის კონსტიტუციასა და შესაბამის საკანონმდებლო აქტებში. ნიშანდობლივია ის, რომ საქართველომ 1992 წელს ყოფილ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებს შორის პირველმა შექმნა და ამოქმედა ეროვნული საპატენტო სამსახური „საქპატენტი“, რომელიც შემდგომ გარდაიქმნა ინტელექტუალური საკუთრების

In the world those countries and nations are leading and successful which are able to generate new ideas and knowledge, create highly effective technologies and realize them in practice.

Intellectual potential plays a crucial role in the economic, social and cultural development of states, it is a significant factor from the viewpoint of the political influence as well. The hopes of mankind for the overcoming of poverty, solution of ecological problems and eradication of serious diseases are also linked with scientific and technological achievements.

The incredibly rapid scientific and technological advance and the establishment of knowledge-based economy, characteristic of the recent two decades, have lent special urgency and significance to the protection of intellectual property worldwide. This was reflected in the formation and development of the legal mechanisms and institutions of the intellectual property system on a qualitatively new level on the global as well as regional and national levels.

After the acquisition of independence, the formation of the national system of intellectual property protection was defined as one of the priorities of Georgia, which was reflected both in the Constitution of Georgia and the enactment of respective legislative acts. It is noteworthy that in 1992 Georgia was the first among the republics of the former Soviet Union where the National Patent Service Sakpatenti was created and began to

ეროვნულ ცენტრად. დროთა განმავლობაში საქპატენტში მთლიანად იქნა კონსოლიდირებული ინტელექტუალური საკუთრების ყველა ძირითადი სფერო: სამრეწველო საკუთრება, საავტორო და მომიჯნავე უფლებები, მცენარეთა და ცხოველთა ახალი ჯიშები.

განვლილი 15 წლის განმავლობაში საქპატენტის უშუალო მონაწილეობით მომზადდა და სამოქმედოდ იქნა მიღებული 30-მდე კანონი, კანონქვემდებარე აქტი და სხვადასხვა დონის სახელმძღვანელო დოკუმენტი, რომლებიც არეგულირებენ ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებზე უფლებების წარმოშობისა და განხორციელების სამართლებრივ მექანიზმებს. მოქმედი კანონმდებლობა სრულ თანხმობაშია საერთაშორისო სტანდარტებთან – პასუხობს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ფარგლებში მოქმედი TRIPS-ის შეთანხმების მოთხოვნებს და ჰარმონიზებულია ევროკავშირის კანონმდებლობასთან.

საქართველოს ფარგლებს გარეთ ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვის უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტს ქვეყნის საერთაშორისო სისტემაში სრულფასოვანი ინტეგრაცია წარმოადგენს, რაც იმთავითვე გახდა საქპატენტის საქმიანობის განმსაზღვრელი ორიენტირი.

დღეისათვის საქართველო მიერთებულია ინტელექტუალური საკუთრების დაცვის ყველა ძირითად კონვენციასა და შეთანხმებასთან, არის მრავალი ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულების მონაწილე.

საქართველო აქტიურად მონაწილეობს სხვადასხვა დონის საერთაშორისო ფორუმების მუშაობაში, არის რიგი მნიშვნელოვანი წინადადებების ინიციატორი.

მთელი განვლილი პერიოდის განმავლობაში საქპატენტის განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში იყო საქართველოსათვის სტრატეგიული პროდუქტების - ღვინისა და მინერალური წყლების გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვა უცხოეთის ქვეყნებში. ამ მიზნით საქართველო შეუერთდა

function, which later on was transformed into the National Intellectual Property Centre, where in the course of time all the spheres of intellectual property were consolidated completely: industrial property, copyright and related rights, new varieties of plants and animals.

Over the last 15 years, up to 30 laws, subordinate legislation and guidelines of various levels, regulating legal mechanisms of the accrual of rights in intellectual property subject-matters as well as their enforcement, were prepared and adopted with the direct participation of Sakpatenti. The existing legislation is fully harmonized with the international standards – it meets the TRIPS requirements functioning within the frames of the World Trade Organization and conforms to the European Union legislation.

The major tool for the protection of intellectual property rights outside the boundaries of Georgia is the fully-fledged integration of the country in the international system, which from the outset became the defining landmark of the activity of Sakpatenti from this viewpoint.

At present Georgia is acceded to all the basic conventions and agreements of intellectual property protection, is a party to many bilateral international treaties.

Georgia participates actively in the work of international forums of different levels, is an initiator of a number of significant proposals.

During all this period Sakpatenti has paid special attention to the protection of geographical indications of strategic products for Georgia - wines and mineral waters - in foreign countries. For this

ადგილწარმოშობის დასახელებების დაცვისა და მათი საერთაშორისო რეგისტრაციის ლისაბონის შეთანხმებას, დაიწყო ორმხრივი მოლაპარაკებები გეოგრაფიული აღნიშვნების ურთიერთაღიარების შესახებ დღეს ქვეყნებსა და ევროკავშირთან. ამ დროისათვის უკვე ხელმოწერილია ხელშეკრულება საქართველოსა და უკრაინას შორის.

საერთაშორისო კოოპერაციის საფუძველზე საქპატენტი ასევე წარმატებით ახორციელებს ჯადრების მომზადებას ინტელექტუალური საკუთრების სფეროში.

ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის, ევროპის საპატენტო უწყებისა და პარტნიორი ქვეყნების საპატენტო უწყებების ხელშეწყობით საქპატენტის სპეციალისტებს საშუალება ჰქონდათ მონაწილეობა მიეღოთ სხვადასხვა კონფერენციისა და სემინარის მუშაობაში, ტრენინგებზე ამაღლებინათ კვალიფიკაცია. ბოლო წლებში ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ისმო-ს მსოფლიო აკადემიის დისტანციური სწავლების სისტემას, რომელიც საქპატენტის თანამშრომელთა დიდმა ნაწილმა წარმატებით გაიარა. ორგანიზაციის რამდენიმე თანამშრომელმა მოიპოვა სამეცნიერო ხარისხი ინტელექტუალური საკუთრების სამართლის სფეროში.

ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სისტემის გამართული ფუნქციონირება მჭიდროდ უკავშირდება ამ სფეროს დემისტიფიცირებას, მასში არსებული ცოდნისა და გამოცდილების ფართოდ გავრცელებას, საზოგადოების მზადყოფნას გაითავისოს და სამოქმედოდ აქციოს შესაბამისი პრინციპები და მექანიზმები.

საქპატენტი ყოველწლიურად ატარებს ინტელექტუალური საკუთრების დაცვის აქტუალური პრობლემებისადმი მიძღვნილ საერთაშორისო სემინარებს, სიმპოზიუმებსა და კონფერენციებს, რომლებშიც მონაწილეობენ მეცნიერების, ბიზნესისა და, სამართალდამცავი სფეროს წარმომადგენლები.

გამოიყვამა სპეციალური ლიტერატუ-

purpose Georgia acceded to the Lisbon Agreement for the Protection of Appellations of Origin and their International Registration, began bilateral negotiations on the mutual recognition of geographical indications with the CIS countries and the European Union. An agreement on this issue is already signed between Georgia and Ukraine.

On the basis of international cooperation, Sakpatenti also successfully trains specialists in the intellectual property sphere.

With the assistance of the World Intellectual Property Organization, the European Patent Office and Patent Offices of partner countries, dozens of specialist from different sections of Sakpatenti had an opportunity to participate in various conferences and seminars, to raise their qualification by means of trainings. In the recent years the use of the distance learning system of the WIPO Worldwide Academy has acquired special importance in this regard.

Several staff members of the organization have already received an academic degree in intellectual property law.

The proper functioning of the intellectual property protection system is closely linked with the demystification of this sphere, wide dissemination of the knowledge and experience existing in it, the readiness of the public to become fully aware and apply relevant principles and mechanisms.

Every year Sakpatenti holds international seminars, symposia and conferences on urgent problems of the intellectual property protection, in which representatives of science and business,

რა – სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „ინტელექტუალური საკუთრება“, წიგნები, ბროშურები, სხვადასხვა თვალსაჩინო მასალა. უწყების თანამშრომლები ეწევიან მრავალმხრივ საკონსულტაციო მუშაობას. ინტელექტუალური საკუთრების დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე საქპატენტი მჭიდროდ თანამშრომლობს სხვადასხვა უწყებებსა და ორგანიზაციებთან.

განვლილი წლების განმავლობაში საქპატენტი ჩამოყალიბდა ქვეყნის საპატენტო-საინფორმაციო ცენტრად, რომლის ბიბლიოთეკაში თავმოყრილია როგორც ცალკეული ქვეყნების, ისე საერთაშორისო ორგანიზაციების დოკუმენტაციის მდიდარი კოლექცია. ამ მხრივ მნიშვნელოვანია საქპატენტის მჭიდრო თანამშრომლობა უცხოელ პარტნიორებთან საპატენტო ინფორმაციის გაცვლის საქმეში.

საქპატენტის სპეციალიზაციიდან გამომდინარე, დაარსებიდანვე, ორგანიზაციის ძალისხმევა ფოკუსირებული იყო მის საქმიანობაში ინფორმაციული ტექნოლოგიების ფართო და ეფექტურ გამოყენებაზე.

დღეს საქპატენტში ფუნქციონირებს მძლავრი ტოქალური ავტომატიზებული ქსელი, რომელიც ეფუძნება თანამედროვე ტექნიკურ საშუალებებსა და პროგრამულ უზრუნველყოფას. ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების მონაცემთა ბაზები, რომლებსაც ადრე მხოლოდ საქპატენტის ექსპერტები იყენებდნენ საინფორმაციო-საძიებო სამუშაოების დროს, უკვე ორი წელიწადია ინტერნეტის საშუალებით ხელმისაწვდომი გახდა გარე მომხმარებლებისათვისაც.

უწყების ჩამოყალიბების პირველი დღეებიდანვე დაიწყო ზრუნვა მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაზე. ჯერ კიდევ 1996 წელს მწყობრში ჩადგა თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად აღჭურვილი საქპატენტის ადმინისტრაციულ-ტექნოლოგიური ბაზა. მომდევნო წლებში ახლად შექმნილ ფართობზე განთავსდა ბიბლიოთეკა, პოლიგრაფიული ბაზა, საკონ-

specialists of the law-enforcement sphere participate.

Specialist literature is published – scientific-practical journal “Intellectual Property”, books, brochures, as well as various visual aids. Staff members of the office are engaged in diverse advisory activity. Sakpatenti cooperates closely with various offices and organizations concerning issues of the intellectual property protection.

Over the years Sakpatenti has turned into the patent-information centre of the country, in the library of which a rich collection of documentation of separate countries as well as international organizations is accumulated. In this regard the close cooperation with foreign partners for the exchange of patent information is noteworthy.

Proceeding from the specialization of Sakpatenti, the efforts of the organization from its establishment have been focused on the wide and effective use of information technologies in its activities.

At present the powerful local automated network functions at Sakpatenti, based on modern hardware and software. The databases of intellectual property subject-matters, which were used for information retrieval by examiners of Sakpatenti, have also been accessible via the Internet to external users for already two years.

From the first days of the establishment of the office, attention was devoted to the creation of the material and technical basis. Already in 1996 the administrative-technological basis of Sakpatenti, equipped in accordance with modern requirements, began to function. In sub-

ფერენციო დარბაზი და საკლასო ოთახები, მოენყო საგამოფენო დარბაზი როგორც ხელოვნების წარმომადგენელთა, ისე ტექნიკური ინტელიგენციის ნამუშევართა ექსპონირებისათვის. საქპატენტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებად იქცა ხელოვნათა და გამომგონებელთა ნამუშევრების ფართო საზოგადოებისათვის გაცნობა და ახალგაზრდა შემოქმედთა მხარდაჭერა.

მთლიანობაში საქპატენტის ძირითად ამოცანას ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სამართლებრივი უზრუნველყოფა წარმოადგენს. ამ ამოცანის წარმატებით გადაწყვეტას ემსახურება საქპატენტის ექსპერტთა და ოურისტთა კვალიფიციური კადრები, რომლებსაც შეუძლიათ ტექნიკური და სამართლებრივი ანალიზის მატალ დონეზე წარმართვა და სათანადო გადაწყვეტილების მიღება.

2008 წლის 1-ლი იანვრის მონაცემებით, თავისი თხუთმეტწლიანი არსებობის მანძილზე საქპატენტში ექსპერტიზა გაიარა 12000-მა განაცხადმა გამოგონებასა და სასარგებლო მოდელზე (მცირე გამოგონებაზე), 1600-მდე განაცხადმა სამრეწველო ნიმუშზე, 45000-ზე მეტმა განაცხადმა სასაქონლო ნიშანზე.

საქპატენტის მიერ სახელმწიფო რეესტრში გატარდა 18 ქართული ღვინის ადგილწარმოშობის დასახელება. ამასთან, ლისაბონის შეთანხმების საფუძველზე საქართველოს ტერიტორიაზე დაცვა მიენიჭა ამ შეთანხმების მონაწილე ქვეყნების სხვადასხვა საქონლის 790 ადგილწარმოშობის დასახელებას.

ასევე მოხდა 3000-მდე ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოების რეგისტრაცია და დეპონირება.

ამ ხნის განმავლობაში საქპატენტთან არსებულმა სააპელაციო პალატამ განიხილა 1000-მდე სააპელაციო საჩივარი, როგორც განმცხადებლების, ისე დაინტერესებული მესამე პირების მხრიდან.

ბოლოს, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ქვეყნის პრეზიდენტისა და სახელისუ-

sequent years on the newly purchased area the library, polygraphic office, conference hall and classrooms were located, the exhibition hall was set up for showing works of artists and representatives of technical intelligentsia. The introduction of the works of artists and inventors to the general public and support of young artists has become one of the important directions of Sakpatenti.

On the whole, the basic task of Sakpatenti is the legal securing of the intellectual property protection. The successful solution of this task is entrusted to highly qualified examiners and lawyers of Sakpatenti, who are able to carry out technical and legal analysis on a high level and to take respective decisions.

According to data of January 1, 2008, 12000 applications on inventions and utility models (petit patent), 1600 applications on industrial designs, more than 45000 applications on trademarks have been examined at Sakpatenti during the fifteen years of its existence.


18 appellations of origin of Georgian wines were registered by Sakptenti in the State Register. Along with this, on the basis of the Lisbon Agreement, 790 appellations of origin of various goods from the countries party to this Agreement were granted protection on the territory of Georgia.

Up to 3000 literary and artistic works were registered and deposited.


During this period the Chamber of Appeals functioning at Sakpatenti considered about 1000 appeals of applicants as well as interested third parties.

Finally, the great attention and support of the President of the country and

1992-2007 წლებში გამოგონებაზე შემოტანილი განაცხადების რაოდენობა
NUMBER OF APPLICATIONS OF INVENTION FILED IN 1992-2007




1992-2007 წლებში შემოტანილი განაცხადებისა და საქართველოზე დაცვის გავრცელების მოთხოვნით მიღებული საერთაშორისო რეგისტრაციების რაოდენობა
NUMBER OF FILED APPLICATIONS AND INTERNATIONAL REGISTRATIONS REQUESTING EXTENSION OF PROTECTION TO GEORGIA RECEIVED IN 1992-2007



ფლებო სტრუქტურების დიდი ყურადღება და მხარდაჭერა საქპატენტის მიმართ, რამაც ბევრად განაპირობა მისი წარმატებები და ის ღირსეული ადგილი, რომელიც ჩვენმა უწყებამ დაიკავა ინტელექტუალური საკუთრების დაცვის საერთაშორისო სისტემაში.

the Government structures to Sakpatenti deserves special mention, which determined considerably its success and the honorable place that our office has occupied in the international system of the intellectual property protection.

გენერალური დირექტორი
DIRECTOR GENERAL



საქართველოში გამოგონებაზე განსაკუთრებული უფლების მოპოვება ხორციელდება უშუალოდ ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრში „საქპატენტი“ განაცხადის წარდგენით ან საპატენტო კოოპერაციის ხელშეკრულების (PCT) შესაბამისად, საერთაშორისო განაცხადის საფუძველზე.

2007 წლის განმავლობაში საქპატენტში განსახილველად შემოტანილ იქნა 564 განაცხადი გამოგონებაზე, რაც 5,4%-ით მეტია 2006 წელს შემოტანილი განაცხადების რაოდენობაზე. ადგილობრივი განმცხადებლების მიერ შემოტანილია 248 განაცხადი, რაც დაახლოებით 5%-ით აღემატება 2006 წელს შემოტანილს. უცხოელმა განმცხადებლებმა კი უშუალოდ საქპატენტში შემოიტანეს 22 განაცხადი, საიდანაც 11-ში იყო კონვენციური პრიორიტეტის მოთხოვნა, ხოლო 11 ეხებოდა ე.წ. შემოტანილ პატენტს. აღსანიშნავია, რომ მათგან 6 განაცხადი შესულია ევროპის საპატენტო უწყებაში. შემოტანილ პატენტზე განაცხადები ქვეყნების მიხედვით ასე განაწილდა:

- აშშ – 7;
- გერმანია – 2;
- ავსტრალია – 1;
- შვეიცარია – 1.

2006 წლის მსგავსად 2007 წელსაც შემოტანილ პატენტებზე განაცხადების უმრავლესობა კვლავ ამერიკის შეერთებული შტატებიდანაა.

საქპატენტში PCT ხელშეკრულების შესაბამისად შემოტანილ იქნა 294 განაცხადი გამოგონებაზე, რაც დაახლოებით 13%-ით აღემატება 2006 წლის მონაცემებს.

როგორც 2003–2007 წლებში საქპატენტში განაცხადების შემოტანის დინამიკა გვიჩვენებს, უცხოური განაცხადების საერთო რაოდენობა (უშუალოდ საქპატენტში შემოტანილისა და საერთაშორისო

The exclusive right in an invention in Georgia may be acquired by filing an application with the National Intellectual Property Centre Sakpatenti or on the basis of an international application under the Patent Cooperation Treaty (PCT).

In 2007, 564 applications for inventions were filed with Sakpatenti, which is 5.4% more than the amount of applications filed in 2006. 248 applications were filed by local applicants, which is approximately 5% more as compared with the amount filed in 2006. Foreign applicants filed 22 applications for inventions directly with Sakpatenti, of which 11 ones requested convention priority, 11 applications were filed for the so-called importation patent. It should be noted that of these 6 applications were filed with the European Patent Office. The applications for importation patent were filed from the following countries:

- USA – 7;
- Germany – 2;
- Australia – 1;
- Switzerland – 1;


As in 2006, in 2007 too the majority of applications were filed again from the United States of America.

294 applications for inventions were filed with Sakpatenti under the PCT Treaty, which is 13% more as compared with the data of 2006.

As the dynamics of filing applications with Sakpatenti in 2003-2007 shows, the total quantity of foreign applications (the sum total of applications filed

2003-2007 წლებში შემოტანილ განაცხადთა რაოდენობა
NUMBER OF APPLICATIONS FILED IN 2003-2007

	2003		2004		2005		2006		2007		
ადგილობრივი	195	53%	248	54%	225	47%	236	44%	248	44%	LOCAL
უცხოური	5	1%	10	2%	22	5%	38	7%	22	4%	FOREIGN
საერთაშორისო	166	46%	199	44%	228	48%	261	49%	294	52%	INTERNATIONAL
სულ	366		457		475		535		564		TOTAL



განაცხადების რაოდენობათა ჯამი) 2003 წლიდან უწყვეტად იზრდება მიხედვად იმისა, რომ უშუალოდ საქპატენტში 2007 წელს შემოსულ უცხოურ განაცხადთა რაოდენობა 2006 წელთან შედარებით დაკლებულია. ადგილობრივი განაცხადების რაოდენობა კი 2005 წლიდან უწყვეტად მატულობს და 2007 წელს უტოლდება განაცხადების იმ მაქსიმალურ რაოდენობას, რომელიც 2004 წელს დაფიქსირდა.

საქპატენტში შემოტანილი განაცხადების რაოდენობის ქვეყნების მიხედვით განაწილების დინამიკის საილუსტრაციოდ შერჩეულ იქნა იმ ქვეყნების მონაცემები, რომელთაგან შემოსული და 2003–2007 წლების მიხედვით განაცხადების გასაშუალებული რაოდენობა არ იყო საერთო რაოდენობის 1%-ზე ნაკლები.

როგორც ქვეყნების მიხედვით განაწილების სურათი გვიჩვენებს, უცხოური განაცხადებლებიდან განსაკუთ-

რულად (directly with Sakpatenti and international applications) has increased continuously from 2003, in spite of the fact that the amount of foreign applications filed in 2007 was less as compared with 2006. The quantity of local applications increased from 2005 and in 2007 equaled the maximum quantity of the applications recorded in 2004.


With the purpose of illustrating dynamics of breakdown according to the countries of the applications filed with Sakpatenti, data of the countries were selected from where the quantity of applications filed and averaged according to 2003-2007 was not less than 1 % of the total number.

As the general picture of breakdown

2003-2007 წლებში შემოტანილი განაცხადების რაოდენობა ქვეყნების მიხედვით

NUMBER OF APPLICATIONS FILED IN 2003-2007 ACCORDING TO COUNTRIES

ქვეყნები COUNTRY	2003		2004		2005		2006		2007	
US	110	30%	115	25%	143	30%	184	35%	202	36%
FR	6	2%	21	5%	38	8%	35	6%	16	3%
DE	9	2%	12	3%	12	3%	11	2%	8	1%
GB	13	4%	21	5%	6	1%	6	1%	14	2%
GE	195	53%	248	54%	225	48%	236	44%	248	44%
IT	2	1%	11	2%	11	2%	14	3%	7	1%
ღანარჩენი OTHER	31	8%	29	6%	40	8%	49	9%	69	13%
სულ TOTAL	366		457		475		535		564	



რეზული აქტიურობით გამოირჩეოდნენ ამერიკელები. 2003 წლიდან მოყოლებული მათი განაცხადების რაოდენობა უწყვეტად იზრდებოდა და ბოლო წლებში საერთო რაოდენობის 35-36%-ს გაუტოლდა. ამასთან, ღანარჩენი ქვეყნების (ძირითადად ევროპის ქვეყნების) განმცხადებელთა აქტიურობა წინა წლების დონეზე დარჩა.

2007 წელს ამერიკის შეერთებული შტატების განმცხადებლების მიერ შემოტანილ იქნა 202 განაცხადი. უცხოელ განმცხადებლებს შორის ფრანგი განმცხადებლები 16 განაცხადით (საერთო რაოდენობის 3%) მეორე ადგილზე არიან. ამასთან, ადგილობრივი განაცხადების რაოდენობამ 248-ს მიაღწია, რაც საერთო რაოდენობის 44%-ს შეადგენს.

უცხოელ განმცხადებლებს შორის დიდი აქტიურობით გამოირჩეოდნენ შემდეგი კომპანიები:

according to the countries shows, among the foreign applicants the most active were applicants from the USA. From 2003 the amount of their applications has been on the increase and in the recent years it reached 35-36 % of the total amount. The activity of the applicants from other countries (mainly European countries) remained at the level of the previous years.

In 2007 202 applications were filed by the US applicants. French applicants with 16 applications (3% of the total amount) occupy the second position. Along with this, the number of local applications reached 248, which is 44% of the total amount.

Of the foreign applicants most active were the following companies:

LES LABORATOIRES SERVIER	(FR);
INTERDIGITAL TECHNOLOGY CORPORATION	(US);
PFIZER PRODUCTS INC.	(US);
BIOGEN IDEC MA INC.	(US);
PFIZER INC.	(US);
BRISTOL-MYERS COMPANY	(US);
ATTENUON, LLC	(US);
WARNER-LAMBERT COMPANY LLC	(US);
PHARMACIA CORPORATION	(US);
BASF Aktiengesellschaft	(DE);
ALTANA Pharma AG	(DE);
PHARMACIA & UPJOHN COMPANY	(US);
GLAXO GROUP LIMITED	(GB);
NEW TRANSDUCERS LIMITED	(GB);
IMPERIAL CHEMICAL INDUSTRIES PLC	(GB);
RHONE-POULENCE RORER S.A	(FR);
PHARMACIA ITALIA S.P.A.	(IT);
AZIENDE CHIMICHE RIUNITE ANGELINI	(IT).

ამასთან აღსანიშნავია ისეთი განმცხადებლის აქტიურობა, როგორცაა INTERDIGITAL TECHNOLOGY CORPORATION (US). მის მიერ 2003 წელს გამოგონებაზე შემოტანილი იყო 2 განაცხადი, 2004 წელს – 13, 2005 წელს – 30, 2006 წელს – 61, ხოლო 2007 წელს კი – 70 განაცხადი.

ადგილობრივი განაცხადების დარგების (საერთაშორისო კლასიფიკაციის განყოფილებების) მიხედვით განაწილების შესაბამისი მონაცემების ანალიზიდან ჩანს, რომ გამოგონებათა ყველაზე მეტი რაოდენობა კვლავინდებურად A განყოფილების შესაბამის დარგებზე (მედიცინა და ვეტერინარია; სურსათი და საკვები პროდუქტები; სოფლის მეურნეობა) მოდის და საერთო რაოდენობის დაახლოებით 30%-ს შეადგენს.

ყველა სხვა მნიშვნელოვანი ჯგუფი განეკუთვნება B (20%), F(17%) და C (12%) განყოფილებათა შესაბამის დარგებს (საერთო დანიშნულების ხერხები და მოწყობილობები; შიგანვის ძრავები, ძალური დანადგარები, ჰიდრაულიკური მანქანები და ძრავები, გრავიტაციული,


Along with this, the activity of the applicant INTERDIGITAL TECHNOLOGY CORPORATION (US) is noteworthy. In 2003 it filed 2 applications for inventions, in 2004 – 13, in 2005 – 30, in 2006 – 61, and in 2007 - 70 applications.

The analysis of the data corresponding to the breakdown of local applications according to the branches (Sections of the International Classification) demonstrates that the largest quantity of inventions was again in the branches corresponding to Section A (medicine or veterinary; food or foodstuffs; agriculture) and remained on average 30% of the total amount.

Other important groups belong to the respective branches of B(20%), F(17%) and C(12%) sections (apparatus in general; combustion engines, propulsion units, hydraulic machines and engines, weight,

2003-2007 წლებში შემოტანილი ადგილობრივი განაცხადების რაოდენობა დარგების მიხედვით
NUMBER OF LOCAL APPLICATIONS FILED IN 2003-2007 ACCORDING TO BRANCHES

	2003		2004		2005		2006		2007	
A	72	37%	68	27%	68	31%	74	31%	75	30%
B	31	16%	40	16%	34	15%	28	12%	48	20%
C	32	17%	30	12%	34	15%	39	17%	30	12%
D	0	0%	1	1%	3	1%	3	1%	0	0%
E	5	3%	19	8%	7	3%	12	5%	23	3%
F	30	15%	51	21%	40	18%	47	20%	42	17%
G	17	8%	21	8%	21	9%	21	9%	20	8%
H	8	4%	18	7%	18	8%	12	5%	10	4%
სულ TOTAL	195		248		225		236		248	



ინერციული და მათი მსგავსი ძრავები, მანქანათა ეკანები და დეტალები; ბიოქიმია, ლუდი, ალკოჰოლიანი სასმელები, ტვინო) და რჩება დაახლოებით იმავე დონეზე, დანარჩენი დარგების შესაბამისი განაცხადების რაოდენობა კი უმნიშვნელოა.

ადგილობრივისაგან განსხვავებით, უცხოურ გამოგონებათა უმეტესობა მიეკუთვნება C განყოფილების შესაბამის დარგებს (35%), მათ შორის დიდი უმრავლესობა (დაახლოებით 90%) წინა წლების მსგავსად ისევ წარმოადგენს ფარმაცოლოგიაში გამოსაყენებელ ორგანულ ნივთიერებებს.

რაც შეეხება A განყოფილებას, მისი წილი შეადგენს 30%-ს, რომელშიც ძირითადი ისევ მედიცინაა – დაახლოებით 90%.

inertia and like motors, engineering elements and units; biochemistry, beer, spirits, wine) and remain at about the same level. The quantity of applications with respect to other branches is insignificant.


In difference from the local, most of the foreign inventions belong to the respective branches of Section C (35 %) and the majority of them (approximately 90 %), as in previous years, represent organic substances used in pharmacology.

As to the Section A, its portion makes 30 %, mainly in medicine again – about 90 %.

The tendency towards the fast increase

2003-2007 წლებში შემოტანილი უსსოური განაცხადების რაოდენობა დარგების მიხედვით
 NUMBER OF FOREIGN APPLICATIONS FILED IN 2003-2007 ACCORDING TO BRANCHES

	2003		2004		2005		2006		2007	
A	52	30%	93	44%	83	33%	75	25%	94	30%
B	7	4%	7	4%	12	5%	7	2%	16	5%
C	95	56%	79	38%	114	46%	136	46%	112	35%
D	1	1%	0	0%	0	0%	0	0%	0	0%
E	5	3%	6	3%	2	1%	4	1%	8	3%
F	4	2%	8	4%	4	1%	6	2%	5	2%
G	2	1%	3	1%	5	2%	9	3%	17	5%
H	5	3%	13	6%	30	12%	62	21%	64	20%
სულ TOTAL	171		209		250		299		316	



ბოლო წლებში აღინიშნება გამოგონებათა რაოდენობის სწრაფი ზრდის ტენდენცია H განყოფილების შესაბამის დარგებში, კერძოდ, ტელეკომუნიკაციების დარგში, რაც, ჩვენი აზრით, მსოფლიოში მობილური კავშირის სწრაფ განვითარებას უკავშირდება.


2007 წელს საქპატენტის მიერ გაცემულია 271 პატენტი გამოგონებაზე. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ადგილობრივ განმცხადებლებზე გაცემული პატენტების რაოდენობა შეადგენს საერთო რაოდენობის 48%-ს, ხოლო უცხოელ განმცხადებლებზე გაცემული პატენტების რაოდენობა კი, გაცემული პატენტების საერთო რაოდენობის 52%-ს შეადგენს მაშინ, როდესაც 2006 წელს ადგილობრივ და უცხოელ განმცხადებლებზე საქპატენტის მიერ გაცემული პატენტების რაოდენობა ერთნაირია.

in the number of inventions in branches of Section H, namely the field of telecommunications, was observable, which must be linked with the rapid development of mobile communication in the world.

In 2007 Sakpatenti granted 271 patents for inventions. It is also noteworthy that the patents granted to local applicants 48% of the total quantity of the patents granted by Sakpatenti, and the number of the patents granted to foreign applicants is 52% of the total quantity, whereas in 2006 the quantity of patents granted by Sakpatenti to local and foreign applicants was equal.

2003-2007 წლებში რეგისტრში შეტანილი პატენტების რაოდენობა
NUMBER OF PATENTS ENTERED IN THE REGISTER IN 2003-2007

	2003		2004		2005		2006		2007		
ადგილობრივი	120	43%	136	51%	190	60%	142	50%	130	48%	LOCAL
უცხოური	6	2%	11	4%	7	2%	12	4%	25	10%	FOREIGN
საერთაშორისო	156	56%	122	45%	123	38%	133	46%	116	42%	INTERNATIONAL
სულ	282		269		320		287		271		TOTAL



2007 წელს საქპატენტი, როგორც “მიმღებ უწყებაში”, შემოტანილ იქნა 6 საერთაშორისო განაცხადი, რომელთა მდგომარეობა 01.01.2008 წლისათვის შემდეგია:

- საქმისწარმოება საწყის ეტაპზე – 1;
- საქმისწარმოება ეროვნულ ფაზაზე ჯერ არ დაწყებულა - 5 .

In 2007 6 international applications were filed with Sakpatenti as the “receiving office”. The status of these applications for 01.01.2008 is the following:

- proceeding has begun for 1 application;
- proceeding in the national phase has not begun for 5 applications.




სასარგებლო მოდელები UTILITY MODELS

საქართველოს საპატენტო კანონის შესაბამისად, სასარგებლო მოდელებზე განსაკუთრებული უფლების მოპოვება შესაძლებელია განხორციელდეს განაცხადის წარდგენით უშუალოდ ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრში „საპატენტში“ ან საპატენტო კოოპერაციის ხელშეკრულებით (PCT) შესაბამისად, საერთაშორისო განაცხადის წარდგენით საერთაშორისო ბიუროში.

The exclusive right in a utility model in Georgia may be acquired under the Patent Law of Georgia by filing an application directly with the National Intellectual Property Centre Sakpatenti or by filing an international application with the International Bureau under the Patent Cooperation Treaty (PCT).

2003-2007 წლებში შემოტანილი განაცხადების რაოდენობა
NUMBER OF APPLICATIONS FILED IN 2003-2007

	2003		2004		2005		2006		2007		
ადგილობრივი	113	100%	112	96%	103	100%	118	100%	97	98%	LOCAL
უცხოური			2	2%					2	2	FOREIGN
საერთაშორისო			2	2%							INTERNATIONAL
სულ	113		116		103		118		99		TOTAL




გამოგონებებისაგან განსხვავებით, სასარგებლო მოდელებზე განაცხადების შეტანა პრაქტიკულად მხოლოდ ადგილობრივი განმცხადებლების მიერ ხდება და წლების მიხედვით მათი საერთო რაოდენობა დაახლოებით 100-სა და 120-ს შორის მერყეობს. 2007 წელს ადგილობრივმა განმცხადებლებმა შემოიტანეს 97 განაცხადი, რაც დაახლოებით 17%-ით ნაკლებია 2006 წელს შემოტანილი განაცხადების რაოდენობაზე. აღსანიშნავია, რომ გასულ წელს უცხოეთიდან მხოლოდ 2 განაცხადი შემოვიდა.

Unlike inventions, applications for utility models are practically filed only by local applicants and their total number varies within 100 and 120. In 2007 local applicants filed 97 applications, which is approximately 17% less than the quantity of the local applications filed in 2006. Noteworthy, only 2 applications were filed from abroad last year.

2003-2007 წლებში შემოტანილი ადგილობრივი განაცხადების რაოდენობა ღარბების მიხედვით

NUMBER OF LOCAL APPLICATIONS FILED FOR INVENTIONS IN 2003-2007 ACCORDING TO BRANCHES

	2003		2004		2005		2006		2007	
A	39	34%	50	41%	50	40%	55	46%	37	38%
B	20	17%	23	19%	20	16%	15	12%	10	12%
C	11	9%	12	10%	15	13%	8	8%	17	17%
D	1	1%	1	1%	1	1%	1	1%	0	0%
E	16	14%	9	7%	9	7%	11	9%	9	9%
F	6	5%	7	6%	14	11%	17	15%	12	12%
G	20	17%	16	13%	9	7%	9	7%	9	9%
H	4	3%	4	3%	6	5%	2	2%	3	3%
სულ TOTAL	117	100%	122	100%	124	100%	118	100%	97	100%



როგორც 2003-2007 წლებში აღვნიშნავთ, უმეტესობა ადგილობრივი განაცხადების დარგების (საერთაშორისო კლასიფიკაციის განყოფილებების) მიხედვით განაწილების ანალიზიდან ჩანს, სასარგებლო მოდელებზე განაცხადების ყველაზე მეტი რაოდენობა მოდის A განყოფილების შესაბამის დარგებზე: მედიცინა და ვეტერინარია; სურსათი და საკვები პროდუქტები; სოფლის მეურნეობა და მათ შორის დაახლოებით 90% განეკუთვნება სამედიცინო დარგს. ამასთან, აღსანიშნავია ის, რომ აღნიშნულ განყოფილებაში დარგების მიხედვით შემოტანილი განაცხადების რაოდენობა შემცირდა 46%-დან 38%-მდე.

As the analysis of the relevant data of the breakdown of local applications according to branches (Sections of the International Classification) in 2003-2007 show, the largest quantity of applications for utility models was in the branches corresponding to Section A: medicine or veterinary; food or foodstuffs; agriculture, and of these about 90% belong to medicine. It should also be noted that the quantity of applications filed in the branches of this Section reduced from 46% to 38%.

სხვა დანარჩენ განყოფილებებში შემოტანილი განაცხადების რაოდენობა 2006 წელთან შედარებით:

- მნიშვნელოვნად გაიზარდა C განყოფილების შესაბამის დარგებში (ქიმია; მეტალურგია);
- უმნიშვნელოდ გაიზარდა H განყოფილების შესაბამის დარგებში (ელექტრობა);
- დარჩა იმავე დონეზე G განყოფილების შესაბამის დარგებში (ფიზიკა);
- შემცირდა B; E და F განყოფილებების შესაბამის დარგებში (ტექნოლოგიური პროცესები; მშენებლობა და სამთო საქმე; მექანიკა).

აღსანიშნავია აგრეთვე ის, რომ ყველა განაცხადი შემოტანილი იყო ფიზიკური პირების მიერ.


The number of applications filed in other sections as compared with 2006 is the following:

- increased considerably in branches of Section C (chemistry, metallurgy);
- slightly increased in Section H (electricity);
- remained on the same level in Section G (physics);
- reduced in Sections B, E and F (performing operations; building and mining; mechanical engineering).

It is also noteworthy that all the applications were filed by physical persons.

2003-2007 წლებში რეესტრში შეტანილი პატენტების რაოდენობა
NUMBER OF PATENTS ENTERED IN THE REGISTER IN 2003-2007

	2003		2004		2005		2006		2007		
აღგილობრივი	98	99%	104	100%	68	96%	93	99%	80	99%	LOCAL
უცხოური	1	1%			3	4%			1	1%	FOREIGN
საერთაშორისო							1	1%			INTERNATIONAL
სულ	99		104		71		94		81		TOTAL



სასარგებლო მოდელებზე 2007 წელს გაიცა 81 პატენტი, რაც 2006 წლის მონაცემებთან შედარებით 14%-ით ნაკლებია.

In 2007 81 patents were granted for utility models, which is 14% less as compared with 2006.



საქართველოში სამრეწველო ნიმუშზე განსაკუთრებული უფლების მოპოვების მიზნით, განმცხადებელს შეუძლია საქართველოს საპატენტო კანონის შესაბამისად, განაცხადი უშუალოდ წარადგინოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპატენტი“ (ეროვნული პროცედურა) ან, ჰააგის შეთანხმების შესაბამისად, სამრეწველო ნიმუშის საერთაშორისო რეგისტრაციის საფუძველზე მოითხოვოს დაცვის უფლებების საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელება (საერთაშორისო პროცედურა).

2007 წლის განმავლობაში ეროვნული და საერთაშორისო პროცედურებით საქპატენტში განსახილველად შემოტანილ იქნა 365 განაცხადი სამრეწველო ნიმუშზე, რაც დაახლოებით 5%-ით ნაკლებია 2006 წელს შემოტანილი განაცხადების რაოდენობაზე. ეროვნული პროცედურით შემოტანილ იქნა 56 (41 ადგილობრივი და 15 უცხოური) განაცხადი, რაც დაახლოებით 30%-ით აღემატება 2006 წელს შემოტანილი განაცხადების რაოდენობას. ამასთან, მნიშვნელოვნია ის ფაქტი, რომ საქპატენტში 2007 წელს შემოტანილი ეროვნული განაცხადების რაოდენობის ზრდა განპირობა ადგილობრივი განმცხადებლების მიერ შემოტანილი განაცხადების რაოდენობამ. მართლაც, 2006 წელთან შედარებით უცხოელი განმცხადებლების მიერ შემოტანილი განაცხადების რაოდენობამ დაახლოებით 17%-ით დაიკლო, ხოლო ადგილობრივი განმცხადებლების მიერ შემოტანილი განაცხადების რაოდენობა კი, 64%-ით გაიზარდა, რაც იმის მაჩვენებელია, რომ საგრძნობლად იმატა ქართველი განმცხადებლების დაინტერესებამ სამრეწველო ნიმუშებით.


In order to acquire the exclusive right in an industrial design in Georgia, under the Patent Law of Georgia, an applicant may file an application directly with the National Intellectual Property Centre of Georgia Sakpatenti (national procedure) or under the Hague Agreement on the basis of international registration of an industrial design may request extension of protection to the territory of Georgia (international procedure).

In 2007 365 applications for industrial designs were filed with Sakpatenti under the national and international procedures, which is about 5% less than the number of the applications filed in 2006. Of these, 56 applications (including 41 local and 18 foreign ones) were filed under the national procedure, which is about 30% more as compared with the quantity of applications filed in 2006. It is noteworthy that the increase of the national applications filed with Sakpatenti in 2007 was due to the increase of the quantity of the applications filed by the local applicants. Indeed, as compared with 2006, the quantity of the applications filed by foreign applicants reduced approximately by 17%, and the number of the applications filed by local applicants increased by 64%, which shows that the interest of the Georgian applicants in industrial designs increased considerably. The extension of protection to Georgia was requested only under the international procedures on the basis of 309 registrations (about 10% less

2003-2007 წლებში შემოტანილი განაცხადებისა და საქართველოში დაცვის გავრცელების მოთხოვნით მიღებული საერთაშორისო რეგისტრაციების რაოდენობა

NUMBER OF FILED APPLICATIONS AND INTERNATIONAL REGISTRATIONS REQUESTING EXTENSION OF PROTECTION TO GEORGIA IN 2003-2007

		2003		2004		2005		2006		2007			
ეროვნული პროცედურა		38		45		46		43		56		NATIONAL PROCEDURE	
მათ შორის	ადგილობრივი	23	25%	33	10%	36	11%	25	6%	41	13%	LOCAL	AMONG THEM
	უცხოური	15	16%	12	4%	10	3%	18	5%	15	4%	FOREIGN	
საერთაშორისო პროცედურა		55	59%	272	86%	284	86%	342	89%	309	85%	INTERNATIONAL PROCEDURE	
სულ		93	100%	317	100%	330	100%	385	100%	365	100%	TOTAL	



საერთაშორისო პროცედურებით ე, საქართველოში დაცვის გავრცელება მოთხოვნილი იყო 309 საერთაშორისო რეგისტრაციის საფუძველზე (დაახლოებით 10%-ით ნაკლები 2006 წელთან შედარებით) და რეალურად, 1206 განსახილველ სამრეწველო ნიმუშს მოიცავდა.

2003–2007 წლებში განაცხადების ეროვნული პროცედურით და საერთაშორისო რეგისტრაციის საფუძველზე განსახილველად საქპატენტი სამრეწველო ნიმუშების შემოტანის დინამიკა გვიჩვენებს, რომ სამრეწველო ნიმუშების საერთო რაოდენობის როგორც ზრდა 2003–2006 წლებში, ისე მათი უტეხა 2007 წელს მოხდა საერთაშორისო პროცედურით მიღებული ნიმუშების ზრდისა და შემცირების ხარჯზე. მართლაც, მიუხედავად იმისა, რომ 2007 წელს ეროვნუ-

in comparison with 2006) and in fact included 1206 industrial designs to be considered.

The dynamics of industrial designs filed with Sakpatenti for consideration under the national procedure and on the basis of the international registration in 2003-2007 shows that the increase of the total number of industrial designs received for consideration in 2003-2006 as well as its decrease in 2007 was due to the growth and decrease of the quantity of designs received under the international procedure, which as compared with the applications filed under the national procedure is a more significant result of the variation according to years of the quantity of industrial designs filed under the international procedure. In fact, in spite

ტი განაცხადების რაოდენობა 13-ით გაიზარდა, განსახილველად შემოსული სამრეწველო ნიმუშების საერთო რაოდენობა მაინც შემცირდა ამავე პერიოდში მიღებული საერთაშორისო რეგისტრაციათა რაოდენობის 33-ით შემცირების გამო; შედეგად შემცირდა განსახილველად შემოსული სამრეწველო ნიმუშების საერთო რაოდენობაც.

ეროვნული პროცედურით შემოსული უცხოელი განმცხადებლების 15 განაცხადი ქვეყნების მიხედვით შემდეგნაირად განაწილდა:

- შვეიცარია – 4;
- უკრაინა – 4;
- რუსეთი – 3;
- აშშ – 2;
- ბრაზილია – 1;
- ავსტრია – 1.

2003–2007 წლებში საქპატენტიში შემოტანილი ადგილობრივი განაცხადების ანალიზი გვიჩვენებს, რომ მათი უმრავლესობა წარმოადგენს ობიექტებს, რომლებიც განეკუთვნება მე-9 კლასს (ტარა, საფუთავები, კონტეინერები), რომლებიც გამოიყენება საქონლის ტრანსპორტირებისა და შენახვისათვის. თუმცა იყო ისეთი ობიექტებიც, როგორიცაა: ავეჯი, სამკაული, სამშენებლო ელემენტები, კვების პროდუქტები, სატრანსპორტო და სარეკლამო საშუალებები და სხვ.

საერთაშორისო პროცედურით საქართველოზე უფლებათა გავრცელების მოთხოვნით განაცხადების პრიორიტეტული დაცვის ობიექტად ყველაზე რჩება საათები და მათი საკუთნო, საიუველერო ნაწარმი, სატრანსპორტო საშუალებები და მათი ნაწილები. ისევ განსაკუთრებით აქტიურობენ განმცხადებლები შვეიცარიიდან, გერმანიიდან და საფრანგეთიდან.

of the fact that in 2007 the quantity of national applications increased by 13, the quantity of the industrial designs filed for consideration still decreased, for the quantity of the international registrations received in the same period decreased by 33; as a result of this, the total number of the industrial designs filed for consideration also decreased.

The breakdown according to countries of the 15 applications filed by foreign applicants under the national procedure is as follows:

- Switzerland – 4;
- Ukraine – 4;
- Russia – 3;
- USA – 2;
- Brazil – 1;
- Austria – 1.

The analysis of the local applications filed with Sakpatenti in 2003-2007 demonstrates that their majority are objects belonging to Class 9 (tare, packing, containers) for the transport or handling of goods. Objects such as furnishing, articles of adornment, building units and construction elements, foodstuffs, means of transport and advertising equipment, etc. were also of interest.

Priority objects of protection with the request of the extension of the rights to Georgia under the international procedure again were watches and their accessories, jewellery, means of transport and their parts. Applicants from Switzerland, Germany and France remained especially active.



საქართველოში სასაქონლო ნიშნებზე განსაკუთრებული უფლების მოპოვება ხორციელდება ორი გზით: “სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად განაცხადის უშუალოდ ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრში “საქპატენტი” წარდგენით (ეროვნული პროცედურა) ან ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის მადრიდის შეთანხმების ოქმის თანახმად, სასაქონლო ნიშნის საერთაშორისო რეგისტრაციის საფუძველზე აღძრული დაცვის საქართველოზე გავრცელების მოთხოვნით (საერთაშორისო პროცედურა).


